

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის  
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი(თანამდებობის პირი) – ნანა ნანობაშვილი

თანამდებობის დასახელება - კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ფრაქციის დასახელება -

კომისიის დასახელება - კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

არჩევის წესი - მაჟორიტარული (სიღნაღი, სოფ. ვაქირი)

საანგარიშო პერიოდი - 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 28 ოქტომბრამდე

ანგარიშის ტიპი(რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 18

\*საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 16

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 18

\*კომისიის სხდომებზე დასწრება - 16 (კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია - 8, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 8).

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -

\*ფრაქციის სხდომებზე დასწრება -

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

ა) სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მის გაცემის წესში შესატანი ცვლილება;

ბ) სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანა;

გ) სოფ.ვაქირის ერთ-ერთი ქუჩის დამისამართების შესახებ.

ინიცირებულ საკითხებზე გამოიცა სამართლებრივი აქტები.

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:  
საკრებულოს სხდომებზე გამოტანილი, ჩემ მიერ მხარდაჭერილი ყველა საკითხი, რომლის  
განხილვაშიც მივიღე მონაწილეობა, იყო მნიშვნელოვანი.
- 
- 
- 

6. საკრებულოს წევრის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები:
- სოფ. ვაქირში სასაფლაოების „კოპალა“ და „კვირაცხოვლის“ კეთილმოწყობის სამუშაოები;
  - სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაქირის საჯარო სკოლის ნაწილობრივი  
სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- 
- 
- 

7. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -
8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 48 და თითოეულ შეხვედრაზე დამსწრე მოქალაქეთა  
რაოდენობა 70-80.

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული მირითადი საკითხები  
დასაქმებასთან დაკავშირებული, სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხები.
- 
- 
- 

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები  
(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)
- 
- 
- 

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა  
სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის  
მოადგილე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა  
საბჭოს წევრი.

რეკომენდაცია გაეწია 47 მოქალაქეს ფინანსური დახმარების მისაღებად.

---


---

---

შევსების თარიღი: 28.10.2019 წელი

წარდგენის თარიღი: 28.10.2019 წელი

ხელმოწერა:



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ვაქირის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის, საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ნანობაშვილის ანგარიში 2018წ 1 ნოემბრიდან 2019 წლის 28 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულო მუშაობას შეუდგა 2017 წლის 20 ნოემბერს. ამ პერიოდიდან ვარ საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და კომისიის თავმჯდომარე.

როგორც საკრებულოს წევრი და კომისიის თავმჯდომარე, ჩემი საქმიანობისას ვხელმძღვანელობ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით. შესაბამისად, საქმიანობას წარვმართავ იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. სწორედ ეს განაპირობებს ჩემს მუშაობას, რომლის მთავარი მიმართულებაა ადგილობრივ დონეზე მოსახლეობისა და საკრებულოს ინტერესების გათვალისწინება და მიღებული ნდობის შენარჩუნება.

საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან. ჩემთვის მნიშვნელოვანია ვიცოდე, რას ფიქრობს ამომრჩეველი, რა შეხედულებები აქვთ ამა თუ იმ საკითხზე. არც თუ იშვიათად, თვითონ მივსულვარ მოქალქებთან სახლში, თუ ამის საჭიროება იყო, ან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩემამდე მოსვლა არ შეეძლოთ. როგორც კომისიის თავმჯდომარემ მონაწილეობა მივიღე სიღნაღის მოუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებში.

მოვიარე სოფ. ვაქირის ადმინისტრაციული ერთეულის ყველა უბანი, შევხვდი მოსახლეობას, გავაცანი ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა, მათგან მოვისმინე სოფელში არსებული პრობლემები, რაც ძირითადად ეხებოდა სოციალურ საკითხებს, საუბნო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულამდე მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სასმელი წყლის სისტემის მოწყობას, დასაქმებასა და დამისამართებას.

განსაკუთრებით ყურადღება მინდა გავამახვილო დამისამართების პრობლემაზე. შევხვდი ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთაც დამისამართების არქონის გამო ეზღუდებათ მთელ რიგ სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა( პირადობის მოწმობის აღება, საკუთრების რეგისტრაცია, სამედიცინო მომსახურება, არჩევნებში მონაწილეობა). როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა, ინიციატივით მივმართე

საკრებულოს სივრცითი მოწყობის, დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით, აღნიშნული ქუჩის ქიზიყის ქუჩად სახელდების თაობაზე. წარმოდგენილი საკითხი შესწავლილ იქნა და შუამდგომლობა გადაგზავნილია გეოგრაფიული ობიექტების სახელდების კომისიის წინაშე.

ხშირ შემთხვევაში ჩემი უფლებამოსილება არ არის საკმარისი მოქალაქეების პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცა ასეთი ვითარებისას ვუწევ შუამდგომლობას იმ სტრუქტურებთან, რომელთა კომპეტენციაშიც შედის საკითხის გადაწყვეტა. ვინაიდან აღნიშნული ქუჩა წარმოადგენს ორ სოფელს - ვაქირსა და საქობოს შორის არსებულ ქუჩას, ადმინისტრაციული საზღვარი არ არის დადგენილი და სოფ. საქობო არ არის დამისამართებული, რაზედაც წერილი შემდგომი რეაგირებისათვის გაგზავნილია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

საანგარიშო პერიოდში სოფ. ვაქირში განხორციელდა „კოპალასა“ და „კვირაცხოვლის“ სასაფლაოების კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც საკრებულოს სხდომაზე მხარდაჭერილ იქნა ჩემ მიერ. ასევე განხორციელდა ი. მოსაშვილის სახ. სოფ. ვაქირის საჯარო სკოლის სველი წერტილების რეაბილიტაციის სამუშაოები. რეაგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019 წ. გათვალისწინებული „სახერხის“ უბნისა და „ნადაანთ“ უბნის გზის მოასფალტების ინფრასტრუქტურული პროექტები შესყიდულია და 2020 წ. განხორციელდება.

როგორც სოფლის მაჟორიტარისათვის მნიშვნელოვანია ყველა ის პრობლემა თუ გამოწვევა, რომლის წინაშეც ჩემი სოფელი დგას. იქნება ეს ეკოლოგიური გარემო, ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები, თუ აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. აქტიურად ვმონაწილეობ მათ განხილვასა და გადაჭრის გზების მოძიებაში. არც მომავალში დავიშურებ ძალისხმევას, რათა შევძლოთ მდგომარეობის გამოსწორება და ჩვენს მოქალაქეებს ცხოვრების უკეთესი პირობები შევუქმნათ.

მინდა გითხრათ, რომ აქტიურად ვიყავი ჩართული სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტირების განხორციელებაში. პროექტის ფარგლებში მერიის თანამშრომლებთან ერთად, ჩავატარეთ საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან. ახალგაზრდებს გავუწიე რეკომენდაცია მათ მიერ შერჩეულ საპროექტო წინადადებებზე, როგორ დაეწერათ პროექტი, რითაც სოფელში მცხოვრებ მოქალაქეებს საშუალება მიეცათ მონაწილეობა მიიღონ. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში. 2020 წ. სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში სოფ. ვაქირში განხორციელდება ორი პროექტი : „ვაქირი-სიღნაღის დამაკავშირებელი ტურისტული ბილიკის მოწყობა“ და „კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობა გმირთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე“.

2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ოქტომბრამდე ჩატარდა საკრებულოსა და ბიუროს 18 სხდომა, ვესტრებოდი 16-ს .

საანგარიშო პერიოდში სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ჩაატარა 8 სხდომა, სადაც შესწავლილი და განხილულ იქნა 15 საკითხი. ასევე, ჩატარებულია საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 8 სხდომა, რომლის წევრიც ვარ, ვესტრებოდი 6 ს.

კომისიის სახელით სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას ვიღებ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დახმარების გაცემის კომისიის მუშაობაში.

სოფ. ვაქირის ადმინისტრაციული ერთეულიდან მოსახლეობის სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლებისდაგვარად მოხდა სოციალური პროგრამის ფარგლებში: სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით ისარგებლა -20 ბენეფიციარმა (7 864,87 ლ), მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამაში ჩართულია-3 ბენეფიციარი ოჯახი (გადაეცათ ფასიანი საჩუქრები), მარჩენალდაკარგულისა და მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების პროგრამით დაფინანსებულია-3 ბენეფიციარი (300ლ), განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მუხლიდან დაფინანსებულია - 10 ბენეფიციარი (1650ლ), (მათ შორის 2 უპატრონოდ დარჩენილი მიცვალებულის სარიტუალო ხარჯი), შშმ პირთა დახმარების პროგრამით დაფინანსდა - 16 ბენეფიციარი (1950ლ), სტუდენტების დახმარების პროგრამით დაფინანსებულია -1 ბენეფიციარი (1125ლ); ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დახმარების პროგრამით დაფინანსებულია- 4 ბენეფიციარი (600ლ).

ჩემ მიერ ინიცირებული საკითხებია:

- ა) სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესში შესატანი ცვლილება ;
- ბ) სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანა;
- გ) სოფ. ვაქირის ერთ-ერთი ქუჩის დამისამართების შესახებ;

ინიცირებული საკითხებიდან მიღებული იქნა 2 დადგენილება, 1 განკარგულება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა აქტივობების შემდეგი ჩამონათვალი:

საჭიროებების კვლევა ვაქირის N6 საბავშვო ბაღსა და ი. მოსაშვილის საჯარო სკოლაში, უნიჭიერეს ახალგაზრდას საკუთარი სახსრებით დავუფინანსებული გურამ

წიბახაშვილის „ფოტოხელოვნების მასტერკლასი”, რომელმაც ჩემი ინიციატივით ვაქირის ახალგაზრდულ ცენტრში გამართა საინტერესო შეხვედრა „ფოტოგრაფია მეხსიერების გასაღებია”, სადაც დამსწრე საზოგადოებას გაგვიზიარა მასტერკლასიდან მიღებული ცოდნა და ინფორმაცია.

ჩართული ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭოს საქმიანობაში. შშმ პირების საკითხებზე საჭიროებების შესწავლისა და განხორცილებული ანალიზის გათვალისწინებით დავგეგმეთ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი. აქტიურად ვთანაშრომლობ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურთან.

ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. საბჭო მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკის გაძლიერების მიმართულებით.

მიმართ, რომ განვლილ საანგარიშო პერიოდში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით უფრო აქტიური და ნაყოფიერი გახდება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრისა და კომისიის თავმჯდომარის საქმიანობა.

საკრებულოს წევრი

6. ილია გაგაური

ნანა ნანობაშვილი